პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის კინორეჟისორი თენგიზ აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩასთან მდებარე ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს კინორეჟისორი თენგიზ აბულაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:479,916.311
Y:4,617,955.365
X:480,005.591
Y:4,617,934.220
თენგიზ აბულაძის ქ.
X:479,901.879
Y:4,617,897.137
I ჩიხი
X:480,009.030
Y:4,617,869.397
X:479,894.896
Y:4,617,870.051
X:479,899.993
Y:4,617,855.285
X:479,894.716
Y:4,617,830.268

თენგიზ აბულაძე

(1924-1994)

კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი.

დაიბადა 1924 წელს ქუთაისში. 1943-1946 წლებში სწავლობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. კურსდამთავრებულმა თენგიზ აბულაძემ, დიდი რუსი რეჟისორის სერგეი ეიზენშტეინის რჩევით წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე (რეზო ჩხეიძესთან ერთად). 1953 წელს თენგიზ აბულაძემ მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სერგეი იუტკევიჩის სახელოსნო დაამთავრა. დაწყებული სადიპლომო ფილმიდან, ის ნაყოფიერად და წარმატებულად მოღვაწეობდა როგორც რეჟისორი და სცენარისტი. 1955 წელს ეკრანებზე თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ერთობლივი ფილმი "მაგდანას ლურჯა"გამოვიდა, ეს ფილმი ქართული კინოს ისტორიაში გარდატეხის დასაწყისად მოიაზრება. დამოუკიდებლად გადაღებულ ფილმებში: "სხვისი შვილები", "მე ბებია ილიკო და ილარიონი" დღეს კი თენგიზ აბულაძე, ქართული კინოს კლასიკოსად ითვლება.

1967 წელს აბულაძე თავისი ცნობილი ტრილოგიის პირველ ფილმში "ვედრება' სწორედ იმ თემას შეეხო, რომელიც აქტუალური მხოლოდ დღეს გახდა. 1976 წელს კინოეკრანებზე ტრილოგიის მეორე ფილმი "ნატვრის ხე" გამოვიდა და დიდი წარმატება ხვდა წილად, მას თითქმის ყველა ფესტივალზე უჩვენებდნენ.

"მონანიება" ტრილოგიის ბოლო დამაგვირგვინებელი ფილმია, მისი პრემიერა 1986 წელს ეს არის ფილმი ბოროტების, ძალადობისა და შეუწყნარებლობის დამანგრეველ შედეგებზე, რაზეც პასუხისგება მემკვიდრეობით გადაეცემა მომავალ თაობას. ამ

ფილმის გადაღებას დასაწყისშივე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა კრემლის მხრიდან და ალბათ ძალზე ძვირად დაუჯდებოდათ მის შემქმნელებს, საბჭოთა სისტემას ნგრევა რომ არ დაეწყო. "მონანიების" შემდეგ თენგიზ აბულაძემ ახალ ფილმზე დაიწყო ფიქრი, რომელიც ნანა ჯანელიძის თქმით, ილიას მკვლელობით უნდა დაწყებული და გალაკტიონის თვითმკვლელობით დამთავრებულიყო. სამწუხაროდ ამ პროეტის დასრუეება ვერ მოასწრო. გარდაიცვალა 1994 წლის 6 მარტს.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.